სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

04/06/2026

MES 9 26 0000670094

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 20 იანვრის MES 2 25 0000035723 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 20 იანვრის MES 2 25 0000035723 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მონაცემთა დამუშავებისას, უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სტანდარტებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში - კანონი), სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებით ამ სფეროში,

ასევე, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით“ (შემდგომ - პოლიტიკა).“;

ბ) 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**მუხლი 21. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შეტყობინება**
მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შეტყობინება ხორციელდება კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილი ფორმით.“;

გ) 22-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის განსაზღვრის კრიტერიუმები, ინციდენტის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი, ინციდენტის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის და მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების წესები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.“;

დ) 23-ე მუხლის ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„უნივერსიტეტში მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხორციელდება კანონით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესების შესაბამისად.“;

ე) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია პერსონალური მონაცემები გადაუგზავნოს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთა სიაც დამტკიცებულია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2026 წლის 14 აპრილის N007 ბრძანებით. ამ ბრძანებით გაუთვალისწინებელ სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრული საფუძვლების და მოთხოვნების შესაბამისად.“;

ვ) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურისგან კონსულტაციების მიღებას, უნივერსიტეტის წარმომადგენლობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან ურთიერთობაში, მისი მოთხოვნით ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენას და მისი დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს;
ე) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი ინციდენტის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის ინფორმირებას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შეტყობინებას კანონით განსაზღვრულ ვადებში და დადგენილი ფორმით;“.

2. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი